# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 42 (62) | შაბათი, 2 მარტი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი


## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა

### გაეროს, მსოფლიოს ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს

**უკვე** რამდენიმე თვეა, რაც შიდა ქართლის, ყოფილი ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიაზე, ანუ, ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრს, ქართველი ხალხის ისტორიულ სამშობლოს, სულიერი და მატერიალური კულტურის აკვანს წარმოადგენს, — მიმდინარე პროცესებს სსრკ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და საზღვარგარეთის მთელი რიგი სააგენტოები აშუქებენ, როგორც ეთნოკონფლიქტს, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკის ახალი მთავრობა ცდილობს ოს ხალხს ეროვნული ავტონომია წაართვას. ეს სიცრუე და მონაგონი, რომელსაც თან ახლავს ცენტრალური ტელევიზიის მიერ ფალსიფიცირებული ვიდეოინფორმაცია, მიახლოებითაც კი ვერ ასახავს რეალობას.

სინამდვილეში შიდა ქართლში მიმდინარეობს ცენტრის — საკავშირო მთავრობის გამოუცხადებელი ომი რესპუბლიკასთან, რომელმაც უარი თქვა მონაწილეობა მიიღოს „განახლებული ფედერაციის“ შექმნაში და ხელი მოაწეროს სამოკავშირეო ხელშეკრულებას.

სწორედ ის ბიუროკრატიაზე დაყრდნობით, რომელმაც მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია 1922 წელს უკანონოდ შექმნილ ავტონომიურ ოლქში, ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“, ცდილობს დღეს ცენტრი ხელ-ფეხი შეუბორკოს 1921 წელს ძალით წართმეული სრული სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმავალ ქართველ ხალხს.

ოსი მოიერიშეების მოქმედებაში ცენტრის აქტიური მონაწილეობა აშკარაა თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ რეგიონში განლაგებული სსრკ შინაგანი საქმეთა სამინისტროს ჯარები ხელს უწყობდნენ მათ თავდასხმებს ქართულ მილიციასა და მშვიდობიან მოსახლეობაზე, ხოლო უახლესი ტიპის იარაღით, რაკეტებითაც კი, მოიერიშეები რეგიონში განლაგებული სამხედრო ნაწილიდან მარაგდებიან.

ოსი ექსტრემისტების, საჯარისო დანაყოფებისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, განსაკუთრებით კი სსრკ ცენტრალური ტელევიზიის კოორდინირებული მოქმედება იმას მოწმობს, რომ საქართველოს რესპუბლიკას დილემის წინაშე აყენებენ — ან ხელი მოაწეროს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, ანდა დაკარგოს შიდა ქართლისა და აფხაზეთის ოდითგან თავისი ტერიტორიები.

როგორც მდგომარეობა გვიჩვენებს, აფხაზეთში კვლავ იკვეთება ახალი კონფლიქტი, რამდენადაც ამ რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შეუტყობინებლად რამდენიმე ასეული მედესანტე გამოჩნდა. საქართველოს კრემლის მხრიდან ემუქრება მასობრივი სისხლიანი რეპრესიები, რომელთა პროპაგანდისტულ მომზადებას ემსახურება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ გაჩაღებული ზემოაღნიშნული ანტიქართული კამპანია.

ყველანაირად იჩქმალება ის ფაქტი, რომ საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნას და, ამრიგად, საქართველოს ნაწილის „ოსეთად“ მონათვლას (მაშინ, როდესაც ნამდვილი ოსეთი საქართველოს გარეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობს) არც ისტორიული, არც სამართლებრივი, არც მორალური საფუძვლები არ გააჩნდა და მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა — შეექმნა საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური პლაცდარმი რუსეთის კომპარტიისათვის, რომელიც მანამდე ოსებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდა შიდა ქართლში.

გასაკვირი არ არის, რომ დღესაც ოსი კომუნისტი ტერორისტების ანტიქართული პუტჩი შიდა ქართლში მიმდინარეობს სკკპ იდეალებისადმი ერთგულებისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩენის პოლიტიკური ლოზუნგით.

ქართველი ხალხი მზად არის დაიცვას როგორც თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ასევე ტერიტორიული მთლიანობა.

ცნობს რა შიდა ქართლის ოსი მოსახლეობის — ეროვნული უმცირესობის უფლებას სრულ ეროვნულ-კულტურულ ავტონომიაზე, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის დაწესებული ნორმების ერთგული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა არ დაუშვებს, რომ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში მათ ჰქონდეთ ავტონომია ან სახელმწიფოებრიობის პრეტენზიის მქონე სხვა წარმონაქმნი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უკვე წამოაყენა შიდა ქართლში კონფლიქტის მოსაგვარებლად მთელი რიგი წინადადებანი. მათგან მთავარია სისხლისღვრის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და ყველა შეიარაღებული ფორმირების განიარაღება. ამან უნდა უზრუნველყოს მოლაპარაკების დაწყება შიდა ქართლში მცხოვრები ყველა პირის და, უწინარეს ყოვლისა, ოსი მოსახლეობის წარმომადგენელთა სრული უსაფრთხოების პირობებში, რომლებშიც გაიმართება მოლაპარაკება შიდა ქართლის ოსი მოსახლეობის სტატუსის საბოლოო მოწესრიგებისათვის.

მიუხედავად ამისა საბჭოთა არმიის მხარდაჭერით მოიერიშეების მოქმედება კვლავ გრძელდება და თან სულ უფრო ინტენსიური ხდება, ასეთ პირობებში კრემლის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე დესტაბილიზაციის ახალი კერების შესაქმნელად მიღებული ზომები შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ როგორც საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესია.

შექმნილ ვითარებაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მსოფლიოს ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს მიმართავს შემდეგი მოწოდებით:

1. დაუყოვნებლივ შეიქმნას კომპეტენტური საერთაშორისო კომისია გაეროსა და ევროპარლამენტის ექსპერტების მონაწილეობით ადგილზე სინამდვილის შესასწავლად, რათა ფართო საზოგადოებრიობამ უტყუარი ინფორმაცია მიიღოს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე.
2. დახმარება გაეწიოს საქართველოს რესპუბლიკას ყველა იმ საშუალებით, რაც კი საერთაშორისო სამართლით არის გათვალისწინებული სუვერენული სახელმწიფოს ნებისმიერი ფორმის აგრესიისაგან დასაცავად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 28 თებერვალი.

## ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება

### საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების განაწილების და გამოყენების შესახებ

**ცენტრალური** საარჩევნო კომისია საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნების კანონის თანახმად **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნებთან დაკავშირებულ სახსრებს, რომლებიც გამოყოფილია ტერიტორიული, ადგილობრივი და საუბნო საარჩევნო კომისიათა დასაფარავად, განაგებენ ტერიტორიული საარჩევნო კომისიები მათი თავმჯდომარეებისა და ხაზინადრების (ბუღალტრების) სახით.

ამ კატეგორიის სახსრებში უნდა ჩაითვალოს:

1. 1 ტერიტორიულ საარჩევნო კომისიათა სახსრები:

ა) 2 განთავისუფლებული წევრის 2,5 თვის ხელფასი.
2X2,5X400 მან.=2000 მანეთი.
ბ) ხაზინადარის (ბუღალტრის) 2,5 თვის ხელფასი.
2,5X300 მან.=750 მანეთი.
გ) იურიდიული კონსულტანტის 2,5 თვის ხელფასი.
2,5X300 მან.=750 მანეთი.
დ) ტექნიკური მუშაკის 2 თვის ხელფასი.
2X200 მან.=400 მანეთი.
ე) საარჩევნო ლიტერატურის, საკანცელარიო, საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯები — 200 მანეთი;
ვ) სამივლინებო ხარჯები — 100 მანეთი;
ზ) შენობის მოწყობა-შენახვა-გაფორმება — 100 მანეთი;
თ) სატრანსპორტო ხარჯები — 500 მანეთი;
ი) რეზერვი — 600 მანეთი;
სულ: 5400 მანეთი;

1. 2 ადგილობრივი (საქალაქო, სადაბო, სათემო, ქალაქის რაიონის და სასოფლო) საარჩევნო კომისიების ხარჯები:

ა) 2 განთავისუფლებული წევრის ორი თვის ხელფასი.
2X2X350 მან.=1400 მანეთი.
ბ) ტექნიკური მუშაკის ორი თვის ხელფასი.
2X200 მან.=400 მანეთი;
გ) საკანცელარიო, საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯები — 50 მანეთი;
დ) სატრანსპორტო ხარჯები — 200 მანეთი;
ე) შენობის მოწყობა-შენახვა — 100 მანეთი;
ვ) ხარჯები ბიულეტენების და სხვა მასალების დაბეჭდვისთვის — 1000 მანეთი;
სულ: 3150 მანეთი.

1. 3 საუბნო კომისიათა ხარჯები:

ა) 2 განთავისუფლებული წევრი 1,5 თვის ხელფასი.
2X1,5X300 მან.=900 მანეთი.
ბ) 10 განთავისუფლებული წევრის 10 დღის (1/3 თვის) ხელფასი.
10X1/3X300 მან.=1000 მანეთი (თითო სულზე 100 მანეთი).
გ) შენობის მოწყობა, შენახვა, გაფორმება — 50 მანეთი;
დ) ამომრჩეველთა სიების დაბეჭდვის ხარჯები — 100 მანეთი;
ე) სატრანსპორტო ხარჯები — 100 მანეთი;
ვ) საკანცელარიო ხარჯები — 50 მანეთი;
ზ) ხმის მიცემის კაბინები, ყუთები — 200 მანეთი;
სულ: 2400 მანეთი.

1. 4 ნებადართულია, საჭიროების შემთხვევაში, გამოყოფილი სახსრების მუხლებიდან მუხლში გადატანა, ხელფასის ანაზღაურებაზე განკუთვნილი სახსრების გარდა.

2. 1 იმ შემთხვევაში, თუ ტერიტორიული საარჩევნო კომისია ერთდროულად ადგილობრივსაც წარმოადგენს, კომისია მუშაობს ტერიტორიული საარჩევნო კომისიისთვის დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რასაც ადგილობრივი კომისიის ხარჯთაღრიცხვიდან დაემატება 1000 მანეთი საარჩევნო ბიულეტენებისა და სხვა მასალების დაბეჭდვისათვის.

2. 2 იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი საარჩევნო კომისია ერთდროულად წარმოადგენს საუბნოს, ადგილობრივი კომისიების სახსრებს დაემატება საუბნო კომისიის ხარჯთაღრიცხვის (ბ), (დ), (ე) და (ზ) პუნქტებით გათვალისწინებული ხარჯები. დაშვებულია აგრეთვე ადგილობრივი კომისიის მესამე წევრის განთავისუფლება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან.

2. 3 ტერიტორიული საარჩევნო კომისია არის ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან მისთვის გამოყოფილი სახსრების განმგებელი და როგორც წესი, აწარმოებს მისი ქვემდგომი საარჩევნო კომისიების ყველა საფინანსო ოპერაციებს.

ტერიტორიული საარჩევნო კომისია არსებული წესის მიხედვით ხსნის ანგარიშს სახელმწიფო ბანკის ფილიალში, რომელიც აწარმოებს საბიუჯეტო ოპერაციებს იმ ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სადაც იმყოფება საარჩევნო კომისია.

ტერიტორიული საარჩევნო კომისია ნიშნავს კომისიის ხაზინადარს, რომელიც აწარმოებს კომისიის ყველა საბუღალტრო ოპერაციას. ხაზინადარი ასრულებს აგრეთვე მოლარის ფუნქციებს.

გამონაკლის შემთხვევაში, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან შეთანხმებით, ტერიტორიულ საარჩევნო კომისიას შეუძლია გადასცეს ქვემდგომ საარჩევნო კომისიას მისთვის ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სახსრების ნაწილი.

ადგილობრივ და საუბნო კომისიათა ის ხარჯები, რომელთა დაფარვა არ ხერხდება ცენტრალიზებულად, გარდა საფინანსო დოკუმენტისა დადასტურებული უნდა იქნას კომისიის წევრთა ნახევარზე მეტის ხელმოწერილი აქტით.

2. 4 ყველა სახის ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაცია ხორციელდება შესაბამისი დადგენილი დოკუმენტების საშუალებით, რომლებიც დამოწმებული ტერიტორიული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და ხაზინადარის ხელმოწერებით, რომელთა ფაქსიმილეები ინახება შესაბამის ბანკში.

ნაღდი ანგარიშსწორება ხდება დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც ადგენს მომსახურების გამწევი ან პროდუქციის მომწოდებელი. დოკუმენტი მტკიცდება ხელმოწერით და ბეჭდით (მისი არსებობის შემთხვევაში).

საფინანსო დოკუმენტის არ არსებობის შემთხვევაში ხარჯები უნდა იყოს დადასტურებული შესაბამისი კომისიის აქტით, წევრთა ორი მესამედის ხელმოწერებითურთ.

ტერიტორიული საარჩევნო კომისია ვალდებულია მოახდინოს უნაღდო ანგარიშსწორება ყველა იმ ორგანიზაცია-დაწესებულებასთან, რომელთა მიერ შესრულებული საქმიანობის ანაზღაურება მოსახერხებელია ამ გზით, სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე.

ადგილობრივი და საუბნო კომისიების განთავისუფლებული წევრების ხელფასს თვითოეული კომისიისათვის გასცემს ტერიტორიული საარჩევნო კომისია, რისთვისაც მას წარედგინება შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის და ერთი წევრის მიერ ხელმოწერილი უწყისის ერთი პირი. უწყისის მეორე პირი, ხელფასის გაცემის შემდეგ სათანადოდ გაფორმებული და დამოწმებული ხელმოწერებით აგრეთვე ბარდება ტერიტორიულ საარჩევნო კომისიას.

ყველა სახის ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტები ინახება ხაზინადართან.

ნაღდი ფულით ანგარიშსწორება ტერიტორიულმა საარჩევნო კომისიამ შეიძლება მოახდინოს:

ა) ხარჯთაღრიცხვით და ამ დადგენილებით გათვალისწინებული ხელფასებისა და მივლინებების ასანაზღაურებლად;
ბ) სხვადასხვა სახის სამეურნეო ხარჯებისათვის;
გ) გაუთვალისწინებელი მცირე ხარჯებისათვის;

3. საარჩევნო კომისიების განთავისუფლებულ წევრებს ხელფასისა და მივლინებებისათვის გამოყოფილი თანხები აუნაზღაურდებათ შემდეგი წესით:

ა) ამ კატეგორიის პირებს ხელფასი უნარჩუნდებათ თავიანთ სამსახურში საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად;
ბ) სტუდენტებს, პენსიონერებს, უმუშევრებს და დაბალი შემოსავლის მქონე პირებს ხელფასი შესაბამისად მიეცემათ განთავისუფლებული წევრისთვის ამ დადგენილებით განსაზღვრული ოდენობით, ან მიეცემათ სხვაობა;
გ) პირები, რომლებიც თავისუფლდებიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ხელფასის შეუნარჩუნებლად ხელფასს მიიღებენ საარჩევნო კომისიაში;
დ) ხელფასის ანაზღაურება უნდა მოხდეს სათანადო ცნობების (დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ);
ე) მივლინების ანაზღაურება ხდება ასევე სათანადო დოკუმენტების საფუძველზე, მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით.

4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ბანკები, მათი საოპერაციო სამმართველოები და ფილიალები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ კამპანიის ჩატარებას.

5. ტერიტორიული საარჩევნო კომისიები არჩევნების დამთავრებიდან არა უგვიანეს სამი კვირისა წყვეტენ ანგარიშსწორებას ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან და ერთი კვირის ვადაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგენენ ანგარიშს მის მიერ დადგენილი ფორმითა და სათანადო დოკუმენტაციით.

არჩევნების დამთავრებიდან ხუთი კვირის ვადაში ტერიტორიული საარჩევნო კომისიები ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე ჩარიცხავენ არსებულ ნაშთს.

6. ამ დადგენილებით გაუთვალისწინებელი საფინანსო საკითხების გარკვევა უნდა მოხდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საფინანსო ჯგუფში, ტელეფონი 98-70-03, 98-70-04;

შენიშვნა: ტერიტორიული საარჩევნო კომისიებისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან გადარიცხული სახსრები გაანგარიშებულია საუბნო კომისიათა სავარაუდო მაქსიმალური რაოდენობის მიხედვით. სახსრების ნამეტი, რომელიც წარმოიშვება საუბნო კომისიათა სავარაუდო და რეალურ რაოდენობათა განსხვავების გამო, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნებართვით.

**ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ა. ჭირაქაძე,**
**კომისიის მდივანი ლ. მეხი.**

## საკუთარ სახლში

### ხსნა ერთიანობასა და შეკავშირებაშია

**გუშინ** თბილისში მთავრობის სახლთან საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის“ ინიციატივით მოეწყო ხალხმრავალი მიტინგი, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც რესპუბლიკის დედაქალაქის, ასევე სხვადასხვა რაიონების საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მიტინგზე სიტყვით გამოსულებმა ილაპარაკეს საქართველოში ამჟამად არსებულ რთულ პოლიტიკურ ვითარებაზე. აღნიშნეს, რომ ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა ერთიანობა და შეკავშირება, ყველა პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის კონსოლიდაცია, საქართველოს ეროვნული პარლამენტისათვის მხარში ამოდგომა, რადგან მხოლოდ ასეა შესაძლებელი ეროვნული მოძრაობის გამარჯვება, საერთო მტრის დამარცხება და რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ აუცილებელია შეწყდეს ეროვნული კონგრესის მხრიდან რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუშაობაში უხეში ჩარევის ფაქტები. პირიქით, იგი უნდა იყოს ეროვნული პარლამენტისადმი კეთილგანწყობილი ოპოზიცია.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის“ თავმჯდომარემ ბატონმა აკაკი გასვიანმა მიტინგის მონაწილეებს გააცნო ამ ორგანიზაციის ძირითადი მოთხოვნები:

მიეცეს საქართველოს ეროვნულ პარლამენტს მუშაობის ნორმალური პირობები;

გაუქმდეს ყველა არაკანონიერი შეიარაღებული დაჯგუფება და მათმა წარმომადგენლებმა ჩააბარონ ასევე უკანონოდ შეძენილი იარაღი, გაერთიანდნენ ეროვნულ გვარდიაში.

შეწყდეს ოსი ექსტრემისტების მიერ გაჩაღებული სისხლისღვრა, გატარდეს ყველა დამნაშავის მიმართ მკაცრი ზომები.

მიტინგზე მიიღეს რეზოლუცია.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ.

**„საქართველოს რესპუბლიკის“ ინფორმაციის რედაქცია.**

**ჯაბარ ლომაძის ფოტო.**



## ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

### თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის აბიტურიენტთა შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის მთავრობამ განიხილა საკითხი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის 1990-91 სასწავლო წლის მისაღები გამოცდების შედეგად დადებითი ნიშნით შეფასებულ აბიტურიენტთა შესახებ. მთავრობამ ცნობად მიიღო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მისაღები გამოცდების შედეგად დადებითი ნიშნით შეფასებული 426 აბიტურიენტის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილი კომისიის დასკვნა და ამ დასკვნასთან დაკავშირებით ინსტიტუტის რექტორატისა და სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე განხილული და ერთხმად მოწონებული მოხსენებითი ბარათი.

აღინიშნა, რომ წინა წლების მანძილზე უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წესდება და მოსამზადებელი განყოფილებების დაკომპლექტების აუცილებელი მოთხოვნები უხეშად ირღვეოდა, რის გამოც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში დამატებით ჩარიცხულ აბიტურიენტთა და სხვა ქალაქებიდან გადმოყვანილ სტუდენტთა რიცხვმა გეგმით გათვალისწინებული 4300 სტუდენტის ნაცვლად 6442 შეადგინა, ხოლო თბილისის ექიმთა მომზადებისა და დახელოვნების ინსტიტუტში პირველ კურსზე ირიცხება 1400-ზე მეტი სტუდენტი. ასეთ ვითარებაში არ ხერხდება სასწავლო პროცესის ნორმალურად ორგანიზება, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია კლინიკური დისციპლინების სწავლება.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დაეთანხმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატისა და სამეცნიერო საბჭოს წინადადებას და მიზანშეუწონლად მიიჩნია 1990-91 სასწავლო წელს მისაღები გამოცდების შედეგად დადებითი ნიშნით შეფასებული 426 აბიტურიენტის სამეურნეოანგარიშიანი სწავლების პირველ კურსზე 1991-92 სასწავლო წელს ჩარიცხვა.

1990-91 სასწავლო წელს მისაღები გამოცდების შედეგად დადებითი ნიშნით შეფასებულ აბიტურიენტთა სამეურნეოანგარიშიანი სწავლების პირველ კურსზე ჩარიცხვის საკითხის გადაწყვეტა დაევალა თბილისის ექიმთა მომზადებისა და დახელოვნების ინსტიტუტს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მიეცა წინადადება დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ სპეციალისტთა კადრების მომზადება სავსებით შეუსატყვისოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მოსთხოვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც აქვთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხელმძღვანელობას მკაცრად დაიცვან მისაღები კონტინგენტის დამტკიცებული გეგმა, არ დაუშვან დარღვევები როგორც მთლიანად სასწავლებლის, ისე თითოეული სპეციალობის მიხედვით.

მიღებულ იქნა ცნობად, რომ მუშავდება კერძო ინიციატივაზე აგებულ, კომერციულ სასწავლებელთა შექმნისა და ფუნქციონირების საკანონმდებლო აქტი.

საქინფორმი.

## მდგომარეობა ცხინვალში

**ორი** დღის „შესვენების“ შემდეგ ოსმა ექსტრემისტებმა კვლავ განაახლეს თავდასხმები საქართველოს მილიციასა და ქართველ მშვიდობიან მოსახლეობაზე. 28 თებერვალს, საღამოს 11 საათზე ცხინვალის სასაფლაოს, ლიახვის პატარა ხიდისა და საცხოვრებელი კვარტალების მხრიდან ცეცხლი დაუშინეს საქართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოსა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებით შტაბს. დაიჭრა საპატრულო-საგუშაგო სამსახურის რიგითი მილიციელი გოჩა არჩვაძე.

ექსტრემისტების პირველი შემოტევა ერთ საათს გაგრძელდა, შემდეგ კი ინტერვალებით მთელი ღამის განმავლობაში მეორდებოდა. შინაგანი ჯარის ჯავშანტრანსპორტიორის ეკიპაჟს, რომელიც ექსტრემისტთა შემოტევის მომენტში საქართველოს მილიციის შტაბთან იმყოფებოდა, არაფერი უღონია თავდამსხმელთათვის პასუხის გასაცემად. პირიქით, შემთხვევის ადგილი მიატოვა. თუმცა ექსტრემისტებმა არც სამხედროები დაინდეს და მთელი ღამის განმავლობაში უშენდნენ ცეცხლს შინაგანი ჯარის ნაწილებს.

ღამით ოსი ექსტრემისტები თავს დაესხნენ აგრეთვე სოფელ თამარაშენს, დაჭრეს ერთი მოქალაქე.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.**

საქინფორმი.

## შიდა ქართლი

# ჯოჯოხეთია მოსაგონებლად

### ვითომ ერთი მუჭაა ექსტრემისტები?

**მანქანა** სოფლის გზაზე მიდიოდა, ბინდდებოდა და მძღოლი ჩქარობდა — საქართველოს მილიციის პოსტზე დროულად ჩაესწრო და ცოტაოდენი სურსათ-სანოვაგეც ჩაეტანა.

სოფელ ავნევთან (არის ასეთი ქართული სოფელი ზნაურის რაიონში) მოულოდნელად სროლა გაისმა და მანქანაში მსხდომთ ბინდ-ბუნდში ადამიანების სილუეტები დალანდეს.

„შეჩერდით!“ — ომახიანი ქართულით დასჭექა ვიღაცამ და მანქანაც გაჩერდა.

„ეტყობა, ჩვენები არიან, უბრალოდ, ვერ გვიცნეს“, — გადაულაპარაკა სამგორის რაიონის მილიციის კაპიტანმა ნოდარ კურტანიძემ თავის თანამგზავრს, მილიციის უფროს სერჟანტს ლერი ხვისტანს.

ისინი და მანქანაში მათთან ერთად მსხდომი მილიციის ლეიტენანტი მერაბ კახაბრიშვილი, ზემდეგი გოჩა გულორდავა მანქანიდან გადმოვიდნენ და იმავდროულად ყველა მათგანმა საფეთქელთან შაშხანის ცივი ლულის შეხება იგრძნო.

„ხელები მაღლა!“ — შეიარაღებულ ბრბოს (იქნებოდა ასე, 60-70 კაცი) ახმახი მეავტომატე გამოეყო, დაკავებულებთან მივიდა, ერთ-ერთს უხეშად მუჯლუგუნი ჰკრა და გზის პირას მიაგდო.

ყველაფერი ნათელი იყო — მილიციის მუშაკები ოს ექსტრემისტებს ჩაუვარდნენ ხელში.

„ის, რაც შემდეგ თავს გადაგვხდა, კოშმარულ სიზმარს ჰგავს“, — იგონებს ნოდარ კურტანიძე.

დატყვევებულები ჯერ გულმოდგინედ გაჩხრიკეს, წაართვეს ფული, პირადი ნივთები, შემდეგ ხელები შეუკრეს და გაუყენეს გზას. მილიციის თანამშრომლებთან ერთად იყვნენ ასევე ტყვედაყვანილი ქარელელი ახალგაზრდები რამაზ კევლიშვილი და გია ძმორაშვილი.

მინდორ-მინდორ იარეს, შემდეგ ერთი გორაკი გადაიარეს და ოსებით დასახლებულ სოფელ წუნარში ჩავიდნენ. იმ ღამით უმოწყალოდ ცემეს ტყვეები, ბრბო წიხლებით, ხელით, კეტით, თოფის კონდახებით ურტყამდა ხელებშეკრულ ქართველებს.

„ესეც შენ, ლორო“.

„აბა, რა გეგონა, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში უვიზოდ რომ მობრძანდები“.

„კიდევ მოხვალ დაუპატიჟებლად ჩვენს მიწაზე?“

„ვირთხებივით უნდა დაგწვათ, თქვენი დედა...“

ასეთი „აკომპანიმენტი“ ახლდა ამ საცოდავი ხალხის ცემა-ტყეპასა და ექსტაზში შესული ველურების ყიჟინას ბოლო არ უჩანდა.

მეორე დილით, 24 თებერვალს, ყვითელი ფერის ტაქსი მოვიდა, მანქანა უნომრო იყო, მაგრამ ნოდარ კურტანიძემ მოასწრო საბარგულზე ციფრი „3“-ის გარჩევა (ვის ემსახურება თქვენი მანქანები მე-3 ტაქსომოტორის პარკის ხელმძღვანელებო?), შემდეგ ტყვეებს თვალები აუკრეს, მანქანაში ჩაყარეს და გზას გაუყენეს.

„სადღაც მიგვიყვანეს, სარდაფში შეგვყარეს, — ამბობს რამაზ კევლიშვილი, — გვიბრძანეს, ტანთ გაგვეხადა. შიშველ სხეულზე რკინის ბალთიანი ქამრებით გვცემეს,. ეტყობა, საამისოდ სპეციალურად ხალხი ჰყავთ შერჩეული. იმის გამო, რომ ამ ჯალათებს არც ქართული ეყურებოდათ და ოსურზეც ცოტა მწყრალად იყვნენ, რუსულად კი სუფთად, სხაპასხუპით ლაპარაკობდნენ, შესაძლოა, ვლადიკავკავიდან, ოსეთიდან იყვნენ ჩამოსულები.

...სარდაფს „კამაზი“ მოაყენეს, ტყვეები შიგ ჩაყარეს და ისევ გზას დაადგნენ. იარეს ასე, ორმოცი წუთი. კვლავ ოსებით დასახლებულ რომელიღაც სოფელში შევიდნენ. ტყვეები მანქანის ძარიდან ჩამოყარეს და შეიარაღებულ ბრბოს თანხლებით ქვეითად გააგრძელეს გზა.

„საოცარი სანახაობა იყო, ისეთი, ომის თემაზე გადაღებულ ფილმებში თუ გვინახავს, — იგონებს ლერი ხვისტანი, — ტყვეები გაძლიერებული ბადრაგით მიჰყავთ, გზის გაყოლებაზე კი მთელი სოფელი გამოსულა და წყევლა-კრულვას არისხებს მათ, აგინებს, ქოქოლას აყრის. არც მშვიდობიანმა მოსახლეობამ დაგვინდო, ბავშვები ქვებს გვესროდნენ. დიდები — რაც ხელთ მოხვდებოდათ. ასე, 70 წელს მიტანებული ოსის დედაკაცი დამამახსოვრდა, თვალებს ბოროტად აკვესებდა და რომელიმე ჩვენთაგანისათვის ხელჯოხის ჩარტყმას ლამობდა“.

„სწორედ მე მომხვდა ზურგში იმ დედაბერის ხელჯოხი, — იგონებს გოჩა გულორდავა, — საოცარი განცდა დამეუფლა. იმ ორი დღის მანძილზე რით აღარ გვცემდნენ — რკინის ხელკეტებით, ნიჩბით, თოფის კონდახით, ერთხელ სკამიც გადაგვამტვრიეს თავზე, ტკივილებიც რაღანაირი აღარ გადავიტანეთ, მაგრამ იმ დედაბრის უღონოდ მოქნეულმა ჯოხმა, რომელიც სულ ოდნავ შემეხო ზურგზე, მთელი სხეული ამიწვა, ყელში ცრემლები მომაწვა, ლამის წავბარბაცდი და წავიქეცი. ღმერთო, ნუთუ ამ მილეთის ხალხში კაცი არ არის, რომ შევეცოდოთ და გამოგვესარჩლოს, ნუთუ ამ ხალხს ქართველების მიწაზე, ქართველების გვერდით, ამდენი ხანი რომ ცხოვრობს, ჩვენგან ერთი, თუნდაც მისხალი სიკეთე არ დაამახსოვრდა?!

ფიქრებიდან ცხვირ-პირში შემორტყმულმა ბანჯგვლიანმა მუშტმა გამომარკვია.

„შენ, რა, დაყრუვდი? — ავტომატი მომიშვირა ოსმა, — რატომ არ იხდი?“

გოჩა გულორდავამ, ახლა დაინახა, რომ მისი ამხანაგები წელსზევით ყველა გაეტიტვლებინათ, ტყვეებს უბრძანეს, იქვე მიწაზე, თოვლ-ჭყაპში გაწოლილიყვნენ, შემდეგ, ეტყობა, ესეც ეცოტავათ და ახლა ცუცლზე ხოხვა „მიუსაჯეს“.

ბრბო ხარხარებდა.

ასე ხოხვა-ხოხვით ერთი ოსი მოსახლის ეზოში შეიყვანეს (ეტყობა, მთავარი ბანდიტი იყო) და ტყვეებსაც და იქ შეყრილ სოფლელებს საზეიმოდ გამოუცხადეს, რომ იწყებოდა მილიციის მუშაკთა საჯაროდ დახვრეტის „ცერემონიალი“. საამისო თადარიგსაც შეუდგნენ, მაგრამ მოულოდნელად ვითარება შეიცვალა. მოვიდა ვიღაც, ეტყობა, კიდევ უფრო მთავარი ბანდიტი, ხელქვეითი ბანდიტები სახლში შეიყვანა და იქ დიდხანს ითათბირეს.

დახვრეტის „ცერემონიალი“ გადაიდო. ახლა ტყვეები სხვა მიმართულებით წაასხეს სხვა სოფელში, ერთ სახლთან მიიყვანეს, რომელსაც თუნუქის ჩამაგრებულ დაფაზე „სელსოვეტ“ ეწერა, სოფლის სახელწოდება ვერ გაარჩიეს ტყვეებმა.

შენობაში შეიყვანეს და ბადრაგმა ახლა იქ დაუშინა თოფის კონდახები. ჯალათებს დიდის ენთუზიაზმითა და ხალისით შეუერთდა ამ სოფლის მოსახლეობა, მეტადრე — როგორ გგონიათ, ვინ? — ქალები!

მერაბ კახაბრიშვილს მოვუსმინოთ: „იქიდან იმ სახლში დაგვაბრუნეს, სადაც ჩვენი დახვრეტა ჰქონდათ გადაწყვეტილი. უკვე დაღამდა და ოთახში შეგვყარეს, იატაკზე ვიღაც ეგდო; ის უბედური სისხლის გუბეში იწვა და ფეთქავდა, გია ძმორაშვილმა იცნო — ეს ხომ ბეგლარ კასრაძეა, ნულის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი. ეტყობოდა, არაადამიანური წამება გამოევლო. ფერშალი შემოიყვანეს, ნემსი გაუკეთა, მაგრამ გონზე მაინც ვერ მოიყვანეს.

მასპინძლებიც, ცოტა არ იყოს, დაფიქრებულები ჩანდნენ. ერთმა კიდევაც ჩაიბურტყუნა: მკვდრებში ცოტას გვიხდიანო. საბედნიეროდ, ბეგლარი გათენებისას გონზე მოვიდა, ჩვენ კი იმედის ნაპერწკალი ჩაგვესახა: ეგებ არც ჩვენ დაგვხოცონ-მეთქი.

ის იყო ჩავთვლიმე, რომ ვიღაცამ დაიღრიალა „ადექითო“! ისევ წამოგვყარეს, ყველანი ოთახის კუთხეში შევქუჩდით. კარები გაიღო და სამხედროები შემოვიდნენ, გარეთ გაგვიყვანეს, ჯავშანტრანსპორტიორში ჩაგვსხეს და გზას გაგვიყენეს.

მოულოდნელობისაგან ყველას მუცელში ენა ჩაგვივარდა. ზღაპარს უფრო ჰგავდა საქმის ასეთი შემობრუნება.

თუ აქედან ცოცხლებმა გავაღწიეთ, მაშინ ხომ თავის დაღწევა ჯოჯოხეთიდანაც შესაძლებელი ყოფილა?! ნუთუ კვლავ შევხვდებით და გულში ჩავიკრავთ დედებს, შვილებს, მეუღლეებს, მეგობრებს, გვაპატიე, ღმერთო ამდენი სითამამე!

ჯავშანტრანსპორტიორიდან მთელი გზა კარგად ჩანდა, შემხვედრი მანქანა დავინახეთ, წითელი ფერის „ჟიგული“. ისიც გაჩერდა და ჩვენც.

„ჟიგულიდან“ ორი თუ სამი ოსი გადმოვიდა, ჩვენი ტრანსპორტიორიდან — ერთი ზორბა რუსი, გზის პირას გადგნენ, ხმადაბლა საუბრობდნენ, ეტყობოდათ, რომ მეგობრობდნენ კიდეც, იცნობდნენ, ერთმანეთს მხარზე ხელს უთათუნებდნენ. მასლაათით რომ გული იჯერეს, ერთი ოსი „ჟიგულისაკენ“ გაემართა, საბარგულიდან მანქანის საბურავი ამოიღო და სამხედროს გადასცა. ოსებმა გზა განაგრძეს, ჩვენი ტრანსპორტიორიც დაიძრა.

ცხინვალის მილიციის შტაბში მიგვიყვანეს. გულითადი შეხვედრა, ნაცნობი სახეები, მეგობრები, მოგვილოცეს, რომ ცოცხლები გადავრჩით. როგორც შემდეგ გაირკვა, ის ექსტრემისტ-მძევლებში გაგვცვალეს“.

ნოდარ კურტანიძე და მისი მეგობრები საავადმყოფოში ვნახე, ბიჭები ინტენსიური მკურნალობის კურსს გადიან და ამის მიუხედავად, საბოლოო გამოჯანმრთელებაზე ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი.

ეტყობა, დიდხანს არ წაიშლება მათ სხეულებზე აღბეჭდილი საშინელი წამების კვალი, „ძმები ოსების“ სისხლიანი ავტოგრაფი. რომც წაიშალოს კიდეც, სულის ჭრილობას რა შეახორცებს?!

ნურც შეხორცდება, იქნებ, ასე სჯობს.

**ვაჟა ბურჭიანი,**
**„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური კორესპონდენტი.**

## ინტერვიუ

# „ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ, თავისი ადგილი მივუჩინოთ...“

(დასასრული)

**ნიჟრო-კვლევით ცენტრებთან არსებულ სოციოლოგიურ სამსახურებს. მაგრამ ყველას გვაინტერესებს ერთი რამ — ხომ არ დაიჩაგრება ახალ სისტემაში ნამდვილი შემოქმედება?**

— უნდა გითხრათ, რომ ეკონომიკა არ არის ურჩხული შემოქმედებითი წარმატებების მიმართ. [illegible]

[illegible]

ლი და შემოქმედებითი პოტენციალის გადამოწმების შესაძლებლობას.

სამხატვრო საბჭოს მიერ რეკომენდებულ სცენარებს კორპორაცია დააფინანსებს მის ხელთ არსებული სახსრებიდან, გარკვეული პრიორიტეტებით.

**— როგორი იქნება შემოქმედებითი სტუდიების ურთიერთობა ე. წ. კინოფაბრიკასთან?**

[illegible] ელმა თავად უნდა ირჩინოს თავი — გაიტანოს ქართული ფილმები და შემოიტანოს უცხოური (ამერიკულიც, რუსულიც, ყაზახურიც). გატანიდანაც და შემოტანიდანაც მათ დარჩებათ გარკვეული პროცენტი და რაც უფრო დიდი იქნება ეს პროცენტი, მით უკეთ იცხოვრებს ფილმებით ვაჭრობაში დასაქმებული ხალხი.

[illegible]

ნაწილს მივიღებთ ჩვენ, ნაწილი დარჩებათ მათ. ვფიქრობ, აქ ისინი უკეთ ირჩენენ თავს, ვიდრე თავიანთ ძველ თანამდებობებზე.

**— ქართული კინოს პრობლემებს რა გამოლევს. დასაბრუნებელი გვაქვს ჩვენი ფილმების ფონდი, რაც არც ისე ადვილი საქმეა და ამას დრო დასჭირდება; ასაშენებელია ფილმსაცავი, რომელიც დააკმაყოფილებს ფირის დაცვის ყველა თანამედროვე მოთხოვნას...**

— იცით, ადრე ასეთი საცავები ბეტონისაგან შენდებოდა და ამას წლები პირდებოდა. დღეს უფრო გამართლებულია ლითონის მოდულების ყიდვა, მაგრამ ამისათვის ფული უნდა ვიშოვოთ. კინოკორპორაცია ეფექტურად იმუშავებს, თუ ექნება საშუალება გაატაროს ის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ და ექნება ფულის ხარჯვის თავისუფლება. ახლა სახელმწიფო ფულს ასე გვაძლევს — 10 მილიონ მანეთს ფილმების გადასაღებად, დანარჩენს — აპარატურის შესაძენად და ა. შ. არა გვაქვს ოპერატიული მანევრირების საშუალება. იქნებ ჩვენ (პირობითად ვამბობ) წელს არ ვიღებთ ფილმებს და გვსურს ამ თანხით ფეხზე დავაყენოთ წარმოება, რათა მერე 50 პროცენტით მეტი სურათი გადავიღოთ?! ახლა ამის საშუალება არა გვაქვს.

**— რა მიმართებაშია კინოკორპორაციასთან ქართული კინემატოგრაფიის სისტემის რეფორმათა საკანონმდებლო საფუძვლის სპეციალური კომისია, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან შეიქმნა?**

— ეს კომისია მოწოდებულია შეიმუშაოს კინემატოგრაფის საკანონმდებლო საფუძვლები, კინოწარმოების ფეხზე დასაყენებლად გვპირდება ფულის ხარჯვის თავისუფლება, შემოსავლის წყაროები, გადასახადებისაგან განთავისუფლება, ნიჭის ინტელექტუალურ კაპიტალად აღიარება და ა. შ. საჭიროა ყოველივე ამის დაკანონება. საბოლოო ჯამში, კანონის ძალა უნდა მიეცეს რამდენიმე მუხლს, რომლებიც ერთ გვერდზე დაგვეტევა. ეს უზრუნველყოფს იმ ფონს, რომელზეც ჩვენ შევძლებთ ეფექტურად მუშაობას. სწორედ ამისკენაა მოწოდებული უზენაესი საბჭოს კინოს კომისია.

**— რა მიმართებაში იქნება ეს კომისია შემოქმედებასთან?**

— როგორც იცით, ძალაში რჩება სახელმწიფო დაკვეთა. უზენაესი საბჭოს კინოს კომისია ამ დაკვეთას უშუალოდ არ წარმართავს, მაგრამ მან მონაწილეობა უნდა მიიღოს სამხატვრო საბჭოს ფორმირებაში, გარდა ამისა ამ საბჭოში უნდა იყოს მისი წარმომადგენელი, მე კინოს დარგის ინტერესებს განვასახიერებ. მთავრობის ინტერესები ვინ უნდა განასახიეროს? განსაკუთრებით საკანონმდებლო ორგანოსი, რომელიც დღეს განიხილავს და ამტკიცებს ბიუჯეტს? იცით, ინგლისში პარლამენტის რომელიმე კო-

[illegible] ამ ასეთი მასშტაბური ასახვა ვერ-ვა, ჩვენ რაღა ღმერთი გაგვიწყრა. აი, ამ კონტექსტში აღვნიშნე, რომ ჩვენი ერის განმათავისუფლებელი ბრძოლა, ალეგორიულად, აისახა „ბაში-აჩუკში“ და ნაწილობრივ, „მაია წყნეთელში“ (ამ ფილმების მხატვრული დონის შეფასების პრეტენზია არა მაქვს).

რაც შეეხება „მონანიებას“, ეს ფილმი პიროვნების თავისუფლებას ეხება, გაკვრით მინიშნებულია, რომ არის რაღაც მესამე ძალა, მაგრამ, ჩემის აზრით, ფილმის გმირები უფრო კვამლს ებრძვიან, ვიდრე ცეცხლს. ეს ფილმი უფრო ზოგადდემოკრატიულ პრობლემებს ეხება. უცხოეთში რატომღაც გონიათ, რომ ჩვენთვის მთავარი პრობლემა სტალინიზმია, და თუ ჩვენ რუსეთთან ერთად სტალინიზმისაგან გავთავისუფლდებით, ბედნიერნი ვიქნებით, მაგრამ ეს ხომ ასე არ არის. კაცი, რომელიც წყალში იხრჩობა, კბილის ტკივილზე კი არ ფიქრობს, არამედ სიცოცხლის გადარჩენაზე. ჩემის აზრით ქართულ კინოში სოციალურ პრობლემებზე უკეთეს ფილმებს იღებენ, ჩვენს მთავარ სატკივარს კი არ ეხებიან. ეს ჩემი აზრია, და ვფიქრობ მაქვს ამის გამოთქმის უფლება.

**— ძალიან. ეს ღრმა და საფუძვლიანი საუბრის თემაა, რომელიც ალბათ ჩვენს პროფესიულ წრეებში შედგება. ახლა კი მოდით ქართულ კინოს მოდელს დავუბრუნდეთ.**

— რატომღაც ფიქრობენ, რომ ესთეტიკურის ცნება მხოლოდ ხელოვნების სფეროს კუთვნილებაა. მაგრამ ესთეტიკური საწყისი აუცილებლად უნდა არსებობდეს მათემატიკაშიც, კიბერნეტიკაშიც, ეკონომიკაშიც. არსებობს მახინჯი ეკონომიკური სისტემა, მაგრამ არსებობს ისეთი სისტემაც, რომელიც თავისი სრულყოფილებით ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს ეკონომისტს, ისეთივე სიამოვნებას, როგორსაც მშვენიერი ქანდაკება ან ფერწერული ტილო.

ამ თვალსაზრისით თანამედროვე ქართული კინოს სისტემა მახინჯია. სისტემის სიმახინჯე კი ადამიანთა ურთიერთობებსაც ამახინჯებს და ათასგვარ მახინჯ მოვლენებს იწვევს. მაგალითად, სტუდიის ტერიტორიაზე შენდება ეკლესია — შენდება არა დანაზოგით, არა შემოწირულებათა ხარჯზე, არამედ ფილმწარმოებისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხით. ჩემის აზრით ეს არის არაესთეტიკური სისტემის გამოვლინებათა ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი.

ალბათ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ, თავისი ადგილი მივუჩინოთ და ამ გზით ვიართოთ სანუკვარ მიზნისაკენ.

**— მსჯელობა ქართული კინოს ორგანიზაციულ და შემოქმედებით პრობლემებზე, მის სატკივარზე გაგრძელდება, ალბათ წამოიჭრება სხვა საკითხები, რომლებიც ჩვენი საუბრის მიღმა დარჩა, ჩვენ კი მრავალწერტილი დავსვათ... გმადლობთ.**

**მარინე კერესელიძე**

## ხიდი

# ენერგეტიკოსებო, გაერთიანდით!

**თანამშრომლობის** ხელშეკრულება გახდა აზერბაიჯანის, სომხეთის, ესტონეთის, ლიტვის, ლატვიისა და ტაჯიკეთის დარგობრივი პროფკავშირების წარმომადგენელთა საქართველოში ვიზიტის შედეგი. ამ რესპუბლიკების ენერგეტიკოსები ჩამოვიდნენ თავიანთი კოლეგების — საქართველოს ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს წარმომადგენელთა მოწვევით.

ხელშეკრულება ითვალისწინებს გამოცდილების შესწავლას და სპეციალისტების გაცვლას. მაგრამ მისი საბოლოო მიზანია, როგორც ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ა. ჩოხელი ამბობს, ენერგოკრიზისების თავიდან აცილება და მომხმარებლის მომსახურების გაუმჯობესება.

ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს აგრეთვე რუსეთის სფსრ, უკრაინის, ბელორუსიისა და თურქმენეთის ენერგეტიკოსებმა.

**საქინფორმი**

## საზღვარგარეთ

# ბალტიისპირელთა დიპლომატიური ბრძოლა

**გუშინ** დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში დასრულდა ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების საკონსულტაციო საერთაშორისო ორგანიზაციის 39-ე სესია. ხშირად ამ სესიას სკანდინავიის ქვეყნების სესიასაც უწოდებენ, რადგან მასში მონაწილეობენ ფინეთის, შვედეთის, ნორვეგიის, დანიისა და ისლანდიის პარლამენტების 90-ე სპეციალური სტატუსის მქონე დეპუტატები. კოპენჰაგენში ჩავიდა გრენლანდიის 2 დელეგატიც. როგორც ცნობილია, ამ კუნძულზე ვრცელდება დანიის პროტექტორატი. სესიებზე ჩვეულებრივ იხილავენ კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და რეგიონის სხვა პრობლემებს, კერძოდ, რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთ სესიაზე დაადგინეს, რომ ამიერიდან სკანდინავიის ქვეყნები გამოცხადდნენ ბირთვული იარაღიდან თავისუფალ ზონად. სხვა სესიაზე კი ამ ქვეყნებს შორის საზღვრები გააუქმეს და ფაქტობრივად ე. წ. სკანდინავიის მოქალაქის სტატუსი შემოიღეს.

კოპენჰაგენის მიმდინარე სესია ორმხრივ საგულისხმოა. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთის ქვეყნები მაღალგანვითარებული ევროპული ქვეყნებისაგანაც კი გამოირჩევიან ცხოვრების უაღრესად მაღალი დონით, დელეგატებმა გადაწყვიტეს განეხილათ ამ ქვეყნების ევროპულ ეკონომიკურ კავშირში შესვლის საკითხი. მათი აზრით, ასეთი კავშირი ხელს შეუწყობს მათი ქვეყნების ევროპის ეკონომიკური კავშირის ქვეყნებთან შემდგომ ეკონომიკურ ინტეგრაციას.

მეორე საკითხად წარმოდგენილი იყო ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან ურთიერთობის შემდგომი გაღრმავება. დღის წესრიგი საიდუმლო სრულიადაც არ იყო, ამიტომ კოპენჰაგენის საბჭოთა საელჩომ დელეგატებს შორის გაავრცელა პრეზიდენტ გორბაჩოვთან შეთანხმებული საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირის იური გრემიჩკინის წერილი, სადაც მისალმებასთან ერთად აღშფოთებაც იყო გამოთქმული, რომ იხილებოდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების საკითხი. გრემიჩკინის აზრით, ასეთი მოქმედება საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევაა და ჩვენს ურთიერთობას გააუარესებსო. საბჭოთა კავშირმა წუხილი გამოთქვა, რომ კოპენჰაგენში სტუმრის სტატუსით ჩავიდნენ ესტონეთისა და ლატვიის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეები არნოლდ რუიტელი და ანატოლი გორბუნოვი, აგრეთვე ლიტვის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბრონისლავას კუზმიცკასი. საბჭოეთის მიერ გავრცელებულ წერილში ისიც იყო აღნიშნული, რომ, თუ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წარმომადგენლები მაინც მიიწვიეთ, რატომ რუსეთის ფედერაციისა და კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლები არ მიიწვიეთ, ისინიც ხომ ჩრდილოეთის ქვეყნებში შედიანო.

შვედეთის ტელევიზიის კითხვაზე, თუ რატომ ჩამოვიდნენ კოპენჰაგენის სესიაზე, არნოლდ რუიტელმა მიუგო, რომ მათ მონაწილეობას დიდი პერსპექტიული მნიშვნელობა აქვს და კარგი იქნება, თუ მხარს დაგვიჭერთო. ანატოლი გორბუნოვმა კი აღნიშნა; გვინდა ჩრდილოეთის ქვეყნების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გავხდეთ, რაც ხელს შეგვიწყობს მოსკოვთან უფრო მტკიცე პოზიციიდან დიალოგის წარმართვაში. იგივე აზრი გამოთქვა ბრონისლავას კუზმიცკასმა.

ბალტიისპირელთა განმათავისუფლებელ ბრძოლას სკანდინავიის ქვეყნებში დიდი ყურადღებით ეკიდებიან. მათ ძალიან განიცადეს საბჭოთა არმიის მიერ ვილნიუსსა და რიგაში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტა, რომლის დროსაც 22 კაცი დაიღუპა და ასობით დაიჭრა. სკანდინაველთა ყურადღება ბუნებრივია, რადგან მათ უძველესი დროიდან ბალტიისპირელებთან დიდი ეკონომიკური, კულტურული და ნათესაური კავშირი აქვთ. მაგალითად, შვედეთის ყოფილი პრემიერი ულოფ პალმე დედით ლატვიელი იყო. აქ მრავლად ცხოვრობენ საბჭოთა ჩეკის გაქცეული ემიგრანტები. ჰელსინკში არის ესტონური უბანი და უნივერსიტეტი. ბევრი ლიტველი ცხოვრობს შვედეთში. სირთულეების მიუხედავად ბალტიისპირელებს ჩრდილოეთის ქვეყნებში გახსნილი აქვთ საინფორმაციო პუნქტები, კულტურული ცენტრები, გამოდის ესტონურ-ლიტვურ-ლატვიური ჟურნალ-გაზეთები.

კოპენჰაგენის სესიის მიმართ მოსკოვის რეაქციაზე შვედეთის პრემიერმა ინგვარ კარლსონმა აღნიშნა, ჩვენ ვიცით, რასაც ვიხილავთო. დანიის პრემიერმა პოლ შლუტერმა კი ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირმა პარიზში ხელი მოაწერა შესაბამის ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც უფლება გვაქვს განვიხილოთ მოვლენები, რომლებიც სხვა ქვეყნებში ხდება. ბალტიისპირელთა მოწვევით ჩვენ პრობლემებს პირველწყაროში ვეცნობით, ამიტომ მოსკოვის განცხადება კონსტრუქციული არ არისო“.

ნორვეგიის პრემიერის ბრუ ჰარლემ ბრუნტლენდის თქმით, მოსკოვის ასეთი სიგნალები ადრეც მოგვდიოდა, რაც სრულიად ბუნებრივიაო.

როგორც ცნობილია, სესიამ სამი დოკუმენტი მიიღო ბალტიისპირელთა შესახებ, რომლებიც ცნობენ ამ რესპუბლიკების სახელმწიფო დამოუკიდებლობას 1921 წლიდან, და დასახულია ღონისძიებები ამ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის აღსადგენად.

ამის თაობაზე დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა უფე ელემან იენსენმა აღნიშნა, რომ ბალტიისპირელებთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა სრულიად ლოგიკურია, რადგან ყველა ჩრდილოეთ ქვეყანას მათთან 1921 წლიდან ანექსიამდე ასეთი ურთიერთობა ჰქონდათ, ახლა მხოლოდ მის აღდგენაზეა ლაპარაკი“.

ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დიპლომატიური ცნობის ვადის საკითხში სესიაზე არ იყო ერთსულოვნება. ისლანდიის დელეგაცია ამას დაუყოვნებლივ მოითხოვდა. ამით გაბრაზებულმა მოსკოვმა რეიკიავიკიდან თავისი ელჩი გამოიწვია და სხვა ქვეყნებსაც იგივე მოქმედებით დაემუქრა. ისლანდიას აქტიურად უჭერენ მხარს დანია, ფინეთი, რომელიც ეკონომიკურად დიდ სარგებელს ნახულობს საბჭოეთთან ვაჭრობით, ცდილობდა მოჩვენებითი ნეიტრალიტეტი დაეცვა.

საერთოდ კოპენჰაგენის სესიის მონაწილე დელეგატების აზრით, ბალტიისპირელები არა მარტო გახდებიან ჩრდილოეთის ქვეყნების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრები, არამედ სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც მოიპოვებენ.

**გურამ სიხარულიძე.**

## ლატვია გამოკითხვის წინ

**სრულიად** ლატვიის სახალხო გამოკითხვის დროს, რომელიც ხვალ არის დანიშნული, 42 ქვეყნის 14 საერთაშორისო ორგანიზაციის ასამდე მეთვალყურეს მოელიან. ყველაზე დიდი დელეგაცია შვედეთს ეყოლება — 14 კაცი. მეთვალყურეთა შორის არიან ჩეხეთ-სლოვაკეთის, ნორვეგიის, დანიის, ფინეთის, შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. რიგაში ჩამოვა გამოჩენილი ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე ქალბატონი მარგარეტ ტეტჩერი.

ბიულეტენში ერთი კითხვა იქნება — „გსურთ, თუ არა დემოკრატიული დამოუკიდებელი ლატვიის სახელმწიფო?“. პასუხი დადებითი ან უარყოფითი უნდა იყოს. გამოკითხვაში მონაწილეობის უფლება აქვს მილიონ 100 ათას კაცს. ვინც რაიმე მიზეზით ვერ შეძლებს თავისი პოზიციის გამოხატვას 3 მარტს, მათთვის რამდენიმე დღით ადრე უკვე მოქმედებს გამოსაკითხავი პუნქტები.

## ბუშის განცხადება

**შეერთებული** შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ მის ხელთ არსებული ცნობებით, ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი დათანხმდა გაგზავნოს თავისი გენერლები მოკავშირეებთან მოსალაპარაკებლად. შეხვედრის დრო და თარიღი ჯერ უცნობია და ზუსტად არ ვიცით, ერაყმა მიიღო თუ არა სრულად გაეროს ყველა რეზოლუციის მოთხოვნები. ბუშის აზრით, 48-საათიანი დაზავების პერიოდი ალბათ გაგრძელდება.

## მინისტრები ბრუნდებიან

**განთავისუფლებული** ქუვეითის განდევნილი მინისტრები სამშობლოში ბრუნდებიან. ფიქრობენ, რომ ქვეყნის ემირი ალ საბაჰიც მალე ჩავა სამშობლოში. ქუვეითის ელჩი ვაშინგტონში ეწვია პრეზიდენტ ბუშს და თავისი ხალხის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს, რომელსაც „ერაყელი ხალხის დიდი განმათავისუფლებელი“ უწოდა.



ქუვეითი. სურათზე: [illegible]
ასოშიეიტედ პრეს-სააგენტოს ფოტოქრონიკა.

## მიიღეს ახალი კანონი

**ლიტვის** უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „არაძალისმიერი წინააღმდეგობის შესახებ“, ლიტვის რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის დროს. კანონში აღნიშნულია, თუ ლიტვის სახელმწიფოს საოკუპაციო რეჟიმის მხრივ მეტი საფრთხე გაუჩნდება, მაშინ ლიტველ მოქალაქეებს უფლება აქვთ შეძლებისდაგვარად არაძალისმიერი მეთოდებით წინააღმდეგობა გაუწიონ ოკუპანტებს.

უმაღლესმა საბჭომ კვლავ დაადასტურა ლიტვის კანონების უზენაესობა საკავშირო კანონებთან შედარებით.

## საკუთარ სახლში

# რიგი ღელავს და ეჭვი ფუთფუთებს

### რეპორტაჟი „ავეჯის სახლიდან“ მაშინ, როცა...

**რიგებს** რახანია შევეჩვიეთ. აღარც ამ რიგებში ატეხილი აყალ-მაყალი გვაკვირვებს.

ახლა სასურსათო თუ სამრეწველო მაღაზიების შტურმით აღებასაც ვსწავლობთ და მერე..

— მერე აღარ იქნება. ამ ზომამდე მდგომარეობამ მიგვიყვანა. ჩვენსას ვთხოულობთ და ვერას გავმხდარვართ. რა ვქნათ? — გვეკითხება ერთი ქალბატონი და სხვანი ბანს ეუბნებიან:

— ხუთი დღეა აქ ვათენ-ვაღამებ...

— რიგით მეცუთენის და აჰა, გაგვითავდაო, გამომიცხადეს...

— ხვალიდან ყველაფერი ძვირდებაო, ამბობენ. ვეღარ მომისწრია გატანა და ეგ არის...

— გუშინ მოვედი და, აღარ გვაქვსო, მითხრეს. დღეს კი — რატომ გუშინ არ გაიტანეო, მეუბნებიან...

ამასობაში:

გამალებით მუშაობენ მტვირთავები,

გამოაქვთ და გამოაქვთ საწყობიდან შეფუთული საგნები, ერთმანეთის მიყოლებით ალაგებენ დიდძარიან ავტომანქანებში ხელკეტიანი მილიციელები კი ყურადღებით ადევნებენ თვალს მათს საქმიანობას.

და ეს ყველაფერი რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანება „ავეჯის სახლთან“ ხდება.

— თქვენს მოსვლამდე ცოტა გაუგებრობა მოხდა, — თავისი აქ ყოფნის მიზეზს გვიხსნის ერთ-ერთი მილიციელი, — ხალხმა საწყობში შესვლა მოინდომა და ჩვენ გამოგვიძახეს წესრიგის აღსადგენად. ახლა ყველაფერი რიგზეა.

დიახ, ახლა ყველაფერი რიგზეა. ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი მოქალაქეები შორიდან გასცქერიან საწყობების წინ მოფუსფუსე „ავეჯის სახლის“ მუშაკებს და ბედს შერიგებულნი სინანულით ყვებიან თავიანთ უიღბლობაზე.

გვახსენდება: ამგვარი რამ აქ შარშან, წლის ბოლოსაც მოხდა. მაშინ მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბული იყო. აღელვებულმა ადამიანებმა ლამის ნაცარტუტად აქციეს „ავეჯის სახლი“. ამიტომაც დაგვებადა ეს კითხვა:

— რა ხდება, რა ამბავია, ნუთუ მაინცდამაინც მილიციაა საჭირო, რომ ორგანიზაცია-დაწესებულებებში უკვე განაწილებული ავეჯი მშვიდად გაიტანონ მოქალაქეებმა საწყობიდან?

— თქმა არ უნდა, ავეჯი დღეს დეფიციტია, — ამბობს რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანება „ავეჯის სახლის“ დირექტორის მოადგილე ბატონი გრიგოლ მახარაძე, — მოსახლეობის მოთხოვნილება 50 პროცენტითაც არ კმაყოფილდება. ამას ისიც დაერთო, რომ რესპუბლიკის საავეჯო კომბინატებიდან ენერგოდეფიციტის გამო შეფერხებულია პროდუქციის მოწოდება, არადა, ძირითადად აქედან ვღებულობთ საქონელს. შარშან, მაგალითად, 10 მილიონი მანეთის იმპორტული ავეჯი არ მიგვიღია. ხალხი კი ღელავს, ჯერ შარშანდელებიც არ გაგვისტუმრებია, რადგან ფონდით გათვალისწინებული ავეჯი არ გამოგვიყვეს. ამან, ცხადია, შექმნა დაძაბულობა. ეგეც არაფერი, ზოგიერთები მოითხოვენ, იმპორტული ავეჯი თავისუფლად, ყოველგვარი განაწილების გარეშე გავყიდოთ.

ერთი სიტყვით, მღელვარების მიზეზი მეტ-ნაკლებად გავიგეთ: ავეჯი არ არის, ხოლო როცა იგი გამოჩნდება...

აი, სწორედ მაშინ იწყება ვნებათა ღელვა. რიგის მფლობელნი სამართლიანად ლამობენ ხელში ჩაიგდონ თავიანთი ორგანიზაციის მიერ ნაბოძები: დგება სიები, იწერება განცხადებები. მოაქვთ ათასგვარი დოკუმენტი, რომ მათ სხვაზე მეტი უპირატესობა აქვთ — იმიტომ, რომ ავეჯი ცოტაა და ყველას არ ერგება.

შემდეგ ჩნდებიან პირველი უკმაყოფილონი. ნელ-ნელა მწიფდება აზრი, რომ საქონელი საწყობებში გადამალეს, რათა შემდეგ ზედმეტ ფასში გაყიდონ.

— არ გჯერათ?— გვეუბნება ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც ერგებოდა და არ შეხვდა, — დაიარეთ საწყობი და თვითონ დარწმუნდებით...

საწყობში მართლაც შევიხედეთ.

ავეჯიც მართლა ბლომად აწყვია იქ — „კედელი“, საძინებელი გარნიტური, სამზარეულო გარნიტური, მაგრამ...

მაგათ ყველას თავიანთი პატრონები ჰყავთო, გვიხსნის საქონელმცოდნე, უკვე განაწილდა და ხელმეორედ ხომ ვერ გავანაწილებთო, ამასაც გვეუბნება.

არადა, გარეთ შეჯგუფულ უკმაყოფილოთა შორის ახალი ეჭვი დაიბადა, ავეჯით სავსე კონტეინერები სადღაც, კახეთის გზაზე, გააჩერეს და გადამალესო.

— საქონელი რაც შემოვიდა, ყველაფერი უკვე განაწილებულია, — გვეუბნება გრიგოლ მახარაძე, — ხოლო ის, რაც საცალო ვაჭრობაში გავიტანეთ — ტახტი, ბავშვის საძინებელ-სამეცადინო კომპლექტი — გაიყიდა. ამჟამად საწყობებში შემორჩენილია ავეჯი, რომლის გატანაც ჯერ ვერ მოახერხეს მათმა მფლობელებმა, სწორედ იგი ბადებს ეჭვს.

კახეთის გზაზე გაჩერებული კონტეინერის შესახებ კი ვერავინ ვერაფერი გვითხრა. ეჭვი კი, როგორც შევატყვეთ, უფრო და უფრო ღვივდებოდა და მალე... შესაძლოა, მაღაზიის შტურმით აღების ახალი გეგმაც დასახულიყო.

— ეგ რომ არ მოხდეს, სწორედ იმიტომ ვართ აქ, — ამბობს საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს სპეციალური კომისიის თავმჯდომარე ქალბატონი ეთერ მდივნიშვილი, — ჩვენი ვალია გავაკონტროლოთ, ყველაფერი წესით და რიგით განაწილდეს, ვნახოთ, მიაღწია თუ არა რაიაღმასკომებამდე აქედან გაგზავნილმა ფონდმა... აი, ახლაც ვზივართ და ვიკვლევთ, ვინ რა მიიღო...

მაგრამ ვინც არაფერი მიიღო? არადა, ასეთები მრავლად არიან, ამაზე კომისიის სამუშაო ოთახთან შეკრებილთა რიცხვიც მოწმობს. მათ შორის, ერთი 9 აპრილს დაზარალებულის მეუღლე —ქალბატონი ლუიზა კანდელაკი-ჯვარშეიშვილი, რომელმაც შემოგვჩივლა, აღმა-დაღმა დავრბივარ. ათასგვარი დოკუმენტი გავამზადე და მოწევით კი არაფერმა მომიწიაო.

დაამშვიდეს ქალბატონი ლუიზა კომისიის წევრებმა. ესეც აუხსნეს, თქვენი ამბავი 9 აპრილს მოწამლულთა დახმარების კომიტეტში უნდა გაარკვიოთ, რადგან ავეჯის ფონდს იგი ანაწილებს და მან უკეთ იცის, ვის რა მისცესო.

მაინც დაღვრემილი ჩანდა მოწამლულის მეუღლე. იმედი არა მაქვს, რომ მერე მაინც მომცემენო, ჩიოდა. ასეთი განწყობით დაგვემშვიდობა და წავიდა.

უკმაყოფილოებს ახალი იდეა დაებადათ: ნუღარ გაანაწილებენ აღმასკომები ავეჯს, სულაც თავისუფლად გაიყიდოსო იგი, მეტი წესრიგი დამყარდებაო უფრო, რადგან გვეცოდინება, რა არის და ვის ერგო...

ვერ მოიწონეს ამგვარი წინადადება კომისიის წევრებმა:

— მაგ დროს, სამწუხაროდ, ათასი ჯურის სპეკულიანტი და გადამყიდველი უფრო ითბობს ხელს, — ამბობს ეთერ მდივნიშვილი,— გადამყიდველი ხომ იმის გადამყიდველია, რომ ერთის მაგივრად ათჯერ დადგეს რიგში და ათჯერვე თვითონ გაიტანოს ავეჯი. სხვა კი, უდროობისა თუ შინაგანი პატიოსნების გამო, ცარიელ-ტარიელი რჩება. სხვათა შორის, ზოგ საქონელზე ვაჭრობის სამინისტრომ ნება დართო თავისუფლად გაყიდულიყო. აბა, მაშინ უნდა გენახათ, რა ხდებოდა...

გარეთ კი...

გარეთ ისევ უნდობლობა და უიმედობა სუფევს.

ეჭვი ეჭვს ემატება — საწყობებში საქონელი აქვთ და რატომ არ ჰყიდიანო.

— გაყიდულია, ბატონო, განაწილდა უკვე, მაგათ თავიანთი პატრონები ჰყავთ, — უკვე მერამდენედ იმეორებენ ერთსა და იმავეს „ავეჯის სახლის“ მუშაკები, მაგრამ.. უთავბოლო რიგებით გაწამებულ ადამიანებს არ სჯერათ მათი.

რატომ?

ეს კი ვეღარ გავარკვიეთ.

**სოსო ბალაშვილი**

# ქართული ფეხბურთი

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის (სფფ-ის) საექსპერტო კომიტეტის გადაწყვეტილებების თაობაზე პრესაში ბოლო ხანებში ამტყდარ აჟიოტაჟს მკითხველთა დეზინფორმაცია რომ არ მოჰყოლოდა, ამ წერილის დაწერისაგან თავს შევიკავებდით. დეზინფორმაციულობითა და ტენდენციურობით განსაკუთრებით გამოირჩევა ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის მიერ გაზეთ „ქართულ ფეხბურთში" გამოქვეყნებული წერილი „ზოგიერთი მოსაზრებანი".

ამ წერილის გაცნობის შემდეგ შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ ბატონი პრეზიდენტი საკუთარი მოსაზრების მკითხველისათვის თავს მოსახვევად საუბრობს ყველაფერზე და არსებითად არაფერზე, რაც იმაში ვლინდება, რომ, ჯერ ერთი, დაობს იმაზე, რაზეც არავინ ედავება და მეორე, საკუთარ მოსაზრებას ბუნდოვან ან საერთოდ არარსებულ საფუძველს უდებს.

როგორც საექსპერტო კომიტეტის ყოფილ წევრს, საუბარი პრეზიდიუმის გადაწყვეტილების მხოლოდ მართლზომიერების შესახებ მექნება.

იმის დამტკიცებას, რომ პრეზიდიუმის გადაწყვეტილება არ არღვევს დებულებას და უშუალოდ გამომდინარეობს წესდებიდან, ბატონი პრეზიდენტი ორი არგუმენტით ცდილობს.

პირველი არგუმენტი ასეთია — დებულება კი არ დარღვეულა, არამედ შეიცვალა. ეს „არგუმენტი" თავის მხრივ, იყოფა ორ ნაწილად. პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ ოპონენტები დებულების დარღვევას აცხადებენ კანონის დარღვევად, მაგრამ დებულება იურიდიული გაგებით კანონი არ არის. ესე იგი — კანონს არ ვარღვევთ, რადგანაც კანონს არ ვარღვევთ — დებულებასაც არ ვარღვევთო. ბატონი ნოდარ ახალკაცი წერს: **„გვეუბნებიან, თითქოს დებულებაში ცვლილებები კი არ შეგვეტანოს, არამედ კანონი დაგვერღვიოს. ჯერ ერთი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კანონს არ უშვებს და არც არღვევს მას".**

იურიდიული გაგებით კანონი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ შესაბამისი წესით მიღებული ნორმატიული აქტია. ცნებები: „კანონი", „კანონიერი" კი სწორედ სამართლებრივი, მართლზომიერი აქტის სინონიმებად გამოიყენება.

მართალია, სფფ-ის პრეზიდიუმს კანონი იურიდიულად არ დაურღვევია, მაგრამ დაარღვია დებულება. თუმცა ბატონი პრეზიდენტის „არგუმენტის" მეორე ნაწილი დებულების დარღვევასაც „უარყოფს".

**„ეროვნული ჩემპიონატის დებულების შეცვლის შედეგად არ ისჯება და არც ზარალდება არც ერთი გუნდი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ცვლილება მართლაც შეიძლებოდა შეფასებულიყო ანტისამართლებრივ აქტად, რაც დებულების უკუქმედებაში** (უკუქცევაში ლ. ტ.) (დებულებას უკუქცევა არ გააჩნია, ალბათ იგულისხმება „პრეზიდიუმის გადაწყვეტილების უკუქცევაში" ლ. ტ.) **გამოიხატებოდა. ძალაუნებურად გებადებათ კითხვა: როცა სახელმწიფო გამოსცემს კანონს ამნისტიის შესახებ, ის კანონს არღვევს თუ?... ცხადია, პასუხი ერთია. ამ შემთხვევაში ეს ქმედება მუმანიზმიდან არის გამომდინარე".**

ბატონ პრეზიდენტს ალბათ უნდოდა ეთქვა, რომ კანონის, უკაცრავად, პრეზიდიუმის გადაწყვეტილების რეტროაქტულობის (უკუქცევის) და შემამსუბუქებელ გარემოებათა გამო, პრეზიდიუმის გადაწყვეტილება სამართლებრივია. მაგრამ ბატონ პრეზიდენტს უნდა შევახსენოთ, რომ კანონის რეტროაქტულობა (უკუქცევა) მხოლოდ სისხლის და სამოქალაქო სამართლის, ხოლო ამნისტია მხოლოდ სისხლის სამართლის პრინციპებია. და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ამ პრინციპების სხვა შემთხვევებზე და მით უმეტეს ისეთ ლოკალურ აქტზე გავრცელება, როგორც საქართველოს 1990 წლის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დებულებაა, თუ რა თქმა უნდა, ბატონ პრეზიდენტს საკუთარი თავი მოსამართლედ, პრეზიდიუმი სასამართლოდ, გუნდის მიერ ჯგუფის დატოვება სისხლის სამართლის დანაშაულად, ხოლო დებულება კი სისხლის სამართლის კოდექსად არ წარმოუდგენია.

ახლა განვიხილოთ ბატონი პრეზიდენტის მეორე არგუმენტი — თუ რამდენადაა პრეზიდიუმი უფლებამოსილი, **„კორექტივები და**

# კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია

**ცვლილებები შეიტანოს ეროვნული ჩემპიონატის დებულებაში".**

სფფ-ის წესდების **„მუხლი მეორე:**

**8. 4. ატარებს ფეხბურთში რესპუბლიკის ჩემპიონატსა და თასის გათამაშებას, აგრეთვე, სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებს, რომელთა სტრუქტურასა და შეჯიბრების წესს ადგენს სფფ-ის პრეზიდიუმი...**

**მუხლი მეხუთე:**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი**

**5. 4. წყვეტს საქართველოს საფეხბურთო კლუბების და გუნდების სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობის საკითხებს".**

ბატონი პრეზიდენტის „არგუმენტის" სასარგებლოდ კიდევ ერთ პუნქტს მოვიყვანთ:

„5. 4. „ი". შეიმუშავებს საფეხბურთო საქმიანობის ორგანიზაციის და მართვის ძირითად პრინციპებს".

რომელ მუხლშია ნახსენები სიტყვა „შეცვლა", „შესწორება" ან „კორექტივები"? ალბათ ბატონი პრეზიდენტი შემუშავებასა და დადგენაში შეცვლასაც გულისხმობს იმის მიუხედავად, რომ შემუშავება, დადგენა (რატიფიკაცია, დამტკიცება) და ცვლილებების შეტანა სრულიად განსხვავებული პროცედურებია.

იმისთვის, რომ მკითხველმა ნათლად დაინახოს ამ პროცედურებს შორის არსებითი განსხვავება, რომის სამართლის ისტორიიდან ერთ მაგალითს მოვიყვანთ: მაგისტრატს ჰქონდა წინადადების (კანონპროექტის) მხოლოდ შემუშავების უფლება. ხოლო ამ კანონპროექტის კანონად დადგენის (რატიფიკაციის, დამტკიცების) უფლება, მასში ცვლილებების შეტანის გარეშე — მხოლოდ სახალხო კრებას. თუკი სახალხო კრება კანონპროექტს კანონად არ დაადგენდა, მისი შეცვლის უფლება ისევ მხოლოდ მაგისტრატს ჰქონდა.

აკი იმავე წესდებაში წერია კიდეც — „ყრილობა ამტკიცებს წესდებას და შეაქვს მასში შესწორებანი და დამატებანი". დამტკიცება და შესწორება სხვადასხვა პროცედურები რომ არ იყოს, მაშინ მხოლოდ დამტკიცება ეწერებოდა. ის კი არადა საწესდებო შესწორებანი და დამატებანიც განსხვავებული პროცედურებია, იმის მიუხედავად, რომ ყველანაირი დამატება წესდების შესწორებაცაა. უბრალოდ შესწორება შეიძლება დამატების გარეშეც, მაგალითად მუხლის შესწორების ხარჯზე, ხოლო დამატება ყოველთვის ახალი მუხლის შეტანას გულისხმობს. სწორედ ამიტომაა ეს ორი ერთმანეთთან ახლომდგომი ცნება ერთმანეთისაგან გამიჯნული.

პრეზიდიუმს შეცვლის უფლება რომ ჰქონოდა, ეს წესდებაში იქნებოდა ასახული, მაგალითად შემდეგნაირად: სფფ-ის პრეზიდიუმს შეაქვს ცვლილებები შესაბამის გადაწყვეტილებებში".

თუმცა, როგორც ზევით ნათლად დავინახეთ, საექსპერტო კომიტეტს დებულებაში ცვლილებების შეტანა დავის საგნად არ გაუხდია, რადგან ადგილი აქვს არა დებულებაში ცვლილებების შეტანას, არამედ დებულების დარღვევას...

რაც შეეხება ახალი დებულების შემუშავებას და დადგენას — ეს მხოლოდ პრეზიდიუმის პრეროგატივაა, მაგრამ ამ უფლების განხორციელება პრეზიდიუმს მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია, როცა შესრულდება 1990 წლის დებულების მუხლებს; კონკრეტულად, როცა შესრულდება 1990 წლის დებულების IV თავის V მუხლი. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მუხლი დებულების ფუნდამენტური მუხლია, რადგან განსაზღვრავს ჩემპიონატის მიზანს.

ბატონი პრეზიდენტი დებულების შეცვლას, უფრო სწორად დარღვევას, საქართველოს ფეხბურთის განვითარებისათვის საჭირო რეფორმების აუცილებლობით ხსნის. ამ რეფორმების აკარგიანობაზე, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან ეს სცილდება ჩემს, როგორც საექსპერტო კომიტეტის წევრის, კომპეტენციას, ხოლო თუ რამდენად მართლზომიერია პრეზიდიუმის მიერ საქართველოს ფეხბურთის განვითარების პრობლემების ყრილობის გარეშე გადაწყვეტა, ამაზე ქვემოთმოყვანილი მუხლი აშკარად მეტყველებს.

წესდების მე-4 თავის მე-4 მუხლი. ყრილობა:

ბ) იხილავს საქართველოს ფეხბურთის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს და განსაზღვრავს სფფ-ის საქმიანობის პერსპექტიულ ამოცანებს".

ახლა რაც შეეხება იმას, რომ **„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდებაში სიტყვაც არაა ძამრული, სადაც საექსპერტო კომიტეტს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება მიიღო და გააკონტროლოს სფფ-ის** (პრეზიდიუმის ლ. ტ.) **გადაწყვეტილება დებულების შეცვლის შესახებ".**

პრეზიდიუმის მიერ დებულების შემუშავების უფლება რომ საწესდებო მუხლებით გათვალისწინებული უფლებაა — ეს ცხადია. საწესდებო მუხლების შესრულების შემოწმების უფლება რომ აქვს საექსპერტო კომიტეტს, ამაში თავად ბატონი პრეზიდენტი გვეთანხმება. აქედან გამომდინარე, ბატონი პრეზიდენტი ალბათ იმაშიც დაგვეთანხმება, რომ საექსპერტო კომიტეტს აქვს იმის შემოწმების უფლება, თუ რამდენ ასრულებს პრეზიდიუმი საწესდებო მუხლებს.

საექსპერტო კომიტეტმა უზენაეს საბჭოს და მაინცდამაინც კულტურის, მეცნიერების და განათლების და ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიებს იმიტომ მიმართა, რომ ფედერაციის წესდება რეგისტრაციაში გატარებულია მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე და რადგან საექსპერტო კომიტეტის წევრებს არავითარი სურვილი არ ჰქონდათ წესდების დარღვევის თანამონაწილენი გამხდარიყვნენ, აცნობეს უზენაესი საბჭოს ხსენებულ კომისიებს, რომელთაც ევალებათ სპორტის კურირება.

ახლა რაც შეეხება ბატონ პრეზიდენტის განცხადებას იმის თაობაზე, რომ პრეზიდიუმის დამოკიდებულება საექსპერტო კომიტეტის მიმართ ყოველთვის ლოიალური იყო, რომ საექსპერტო კომიტეტმა ნაყოფიერად იმუშავა სადისციპლინო კოდექსის შექმნაზე, და რომ საექსპერტო კომიტეტმა ამით თავისი მუშაობა ამოწურულად ჩათვალა.

საექსპერტო კომიტეტმა რომ არ ამოწურა მუშაობა, ეს თუნდაც დებულების დარღვევის მიმართ შეურიგებლობიდან ჩანს, ხოლო რაც შეეხება ლოიალურ დამოკიდებულებას, მადლობას მეტი რა გვეთქმის, თუმცა ლოიალური დამოკიდებულება ვერ გაგვხდიდა არამართლზომიერი ქმედების თანამონაწილეებად.

და ბოლოს, მკითხველს ვთავაზობთ საექსპერტო კომიტეტის დასკვნას.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ-ის) საექსპერტო კომიტეტის დასკვნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.**

სფფ-ის საექსპერტო კომიტეტმა შეისწავლა რა სფფ-ში შექმნილი მდგომარეობა, დაადგინა, რომ სფფ-ის პრეზიდიუმის მიერ დარღვეულია:

1. სფფ-ის საშეჯიბრებო დებულების ფუნდამენტური მუხლი — მე-4 თავის მე-5 მუხლი, რადგან სფფ-ის პრეზიდიუმმა არ განახორციელა ამ მუხლით განსაზღვრული პირობები, ხოლო შემდგომ საერთოდ გააუქმა ეს მუხლი მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების რეტროაქტულობის (უკუქცევის) საფუძველზე.

2. სფფ-ის წესდების მე-2 თავის მე-4 მუხლი, მე-5 თავის მე-4 მუხლის „ა" და „ი" პუნქტები, რადგან საშეჯიბრებო დებულების შემუშავება წესდებით განსაზღვრული უფლებაა და ამდენად მისი დარღვევა არის წესდებით მინიჭებული უფლების დარღვევა, რაც თავისთავად წესდების დარღვევაა.

3. სფფ-ის წესდების მე-2 თავის მე-4 მუხლი, მე-4 თავის მე-4 მუხლის „ა" და „ი" პუნქტები, რადგან სფფ-ის პრეზიდიუმი მოკლებულია საშეჯიბრებო დებულების არამართლ დარღვევის, არამედ მისი შეცვლის „უფლებასაც, ვინაიდან წესდების ზემოაღნიშნულ ნაწილში განსაზღვრულია მხოლოდ შემუშავების, დადგენის და არა ცვლილებების შეტანის უფლება (შემუშავება, დადგენა, შეცვლა — სხვადასხვა პროცედურებია).

4. სფფ-ის წესდების მე-2 თავის მე-4 მუხლი, მე-5 თავის მე-4 მუხლის „ა" და „ი" პუნქტები, მე-4 თავის მე-4 მუხლის „გ" პუნქტი, რადგან სფფ-ის პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი რეფორმები, მოიცავს რა ქართული ფეხბურთის განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს, სცილდება პრეზიდიუმის კომპეტენციის და წარმოადგენს ყრილობის პრეროგატივას.

**მინაწერი: რომაელებს ჰქონდათ გამოთქმა: „კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია".**

**ლევან ტატიშვილი**

# ჯანმრთელობა





## აქ იმედით მოდიან

ხუთ ათეულ წელზე მეტი რაც თბილის ბალნეოლოგიური კურორტ ხალხის ჯანმრთელობ ემსახურებ კურორტის შენობაში მოთავსებულ ათეულ ავადმყოფებს შესაძლებლო აქვთ შეიძინონ ექიმის მიე გამოწერილი წამლებ ავადმყოფებს ემსახურე მაღალკვალიფიციურ სამედიცინო პერსონალ კურორტს აქვს „პოლიკლინიკ რომელიც უვლის მსურველ ამბულატორიულად ემსახურებ მკურნალობის ვადაა 24 დღ

**სურათებზე:** მედიცინ მეცნიერებათა კანდიდატი ექი თინა ნუცუბიძე ავადმყო ექოენცეფალოსკოპით იკვლე ფიზიოკაბინეტში მედდა ქეთინო მარიამიძე და მ ჩიკვაიძე მორიგი პროცედურ ჩატარებისა

თედო ნიკოლაიშვილ
ტექსტი და ფოტ

# პრობლემა

# მტერს ნუ გავაცინებთ!..

**როგორც ცნობილია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მილიციისა და სამხედრო მოსამსახურეთა ერთობლივი პატრულირების საკავშირო ბრძანების მოქმედების ჩვენს ტერიტორიაზე შეჩერების თაობაზე. ამ გადაწყვეტილებას, სრული მხარდაჭერით შეხვდა რესპუბლიკის მოსახლეობაცა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობაც. თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკულად ეს გადაწყვეტილება და ჩვენი საზოგადოებრიობისათვის საინტერესო სხვა რამოდენიმე კითხვით შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრმა მიმართა მინისტრის მოადგილეს, მილიციის პოლკოვნიკს ბატონ რომან გვენცაძეს.**

საბჭოთა ჯარებთან ერთად პატრულირება, საქართველოში დღევანდელ პირობებში მართლაც გაუმართლებელი იქნებოდა და მოსახლეობის უკურეაქციას გამოიწვევდა, რადგან ჩვენს ხალხში ჯერ კიდევ არ განელებულა 9 აპრილის ტრაგედიის ტკივილები. რაც შეეხება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას გართულებული ოპერატიული ვითარების პირობებში, ჩვენ მას ძირითადად ვაწარმოებთ საპატრულო-საგუშაგო სამსახურის გაძლიერებული საგუშაგოების ძალებით — დანაშაულის პროფილაქტიკის მიზნით, გადაკეტილია თბილისში შემომავალი გზები, ხოლო სპეციალური საგუშაგოები აწარმოებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს რესპუბლიკათაშორისო მაგისტრალურ გზებზე, რათა ერთის მხრივ აღვკვეთოთ ნარკოტიკებისა და ცეცხლსასროლი იარაღის შემოტანა, ხოლო მეორეს მხრივ, რესპუბლიკიდან გატაცებული ტრანსპორტისა და ნაძარცვის გატანა. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, როგორც დედაქალაქში, ასევე მთლიანად რესპუბლიკაში დანაშაულებათა რაოდენობის კლების ტენდენცია შეიმჩნევა.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ერთ-ერთ განცხადებაში იყო მოწოდება ჩვენი მოქალაქეებისა და საზოგადოებრიობის მიმართ, რათა მათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ და საჭირო მხარდაჭერა აღმოეჩინათ მილიციის მუშაკებისათვის საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში. როგორი ვითარებაა ამ მხრივ რეალურად?**

ამგვარი მოწოდება იყო როგორც რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მხრიდან, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელითაც და იგი ეცნობა ფართო საზოგადოებრიობას პრესისა და ტელევიზიის საშუალებით. უნდა ითქვას, რომ მან გარკვეული დადებითი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს მოსახლეობაში. იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს მილიციის დამატებითი ძალები სამაჩაბლოში იმყოფებოდნენ, თბილისის, სხვა ქალაქებისა და რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებებს დახმარების ხელი აღმოსავლობრივ მოსახლეობამ გაუწოდა. მაგალითად, ნაძალადევის რაიონში არსებული ორგანიზაციადაწესებულებები ყოველდღიურად 10 მანქანასა და 40 კაცს გამოჰყოფდნენ მილიციის მუშაკებთან ერთად პატრულირებისათვის, გარდაბნის რაიონის ყველა სოფელში, სოფლის საბჭოების დახმარებით მოწყობილია და ეხლაც მოქმედებენ საგუშაგოები, რომლებიც საეჭვო მანქანების შემოწმებაში ეხმარებიან მილიციის მუშაკებს და გამოავლინეს კიდეც ცეცხლსასროლი იარაღის გატანის ფაქტი. ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ საზოგადოებრიობის მონაწილეობის დონე მართლწესრიგის განმტკიცებაში მაინც ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს.

**რა კონკრეტული შედეგები აქვს რესპუბლიკაში მიმდინარე ოპერატიულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს? რა ტენდენციები გამოიკვეთა ამ პერიოდში დანაშაულის სტრუქტურაში, რომელთა გათვალისწინებითაც მოგვიხდება უახლოეს მომავალში ოპერატიული ვითარების სტაბილიზაციისათვის მიმართულ საქმიანობაში?**

როგორც ოპერატიული ვითარების ანალიზი გვიჩვენებს, დანაშაულის სტრუქტურაში ლომის წილი ქონებრივ დანაშაულზე მოდის. ესენია მოქალაქეთა ბინებიდან ქურდობები, ძარცვა-ყაჩაღობა, ავტოტრანსპორტის გატაცება. უნდა ითქვას, რომ ამის საპასუხოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო მიმდინარე წელს პროფილაქტიკურ-ოპერატიული ღონისძიებების მთელ კომპლექსს ატარებს და არცთუ ურიგო შედეგებიც გვაქვს. მხოლოდ იანვრის თვეში გამოვლინდა 62 დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელშიც 172 კაცი იყო გაერთიანებული და მათ თითქმის ასამდე დანაშაულის ჩადენა მოასწრეს. დამნაშავე პირთა ასაკობრივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი უდიდესი უმრავლესობა ახალგაზრდაა და ისინი უმეტესწილად თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას. სწორედ ამ მიმართულებით იქნება გადატანილი ჩვენი მუშაობის აქცენტი სამომავლოდ.

არ შემიძლია, კიდევ ერთხელ განსაკუთრებულად არ აღვნიშნო ერთი ჩემის აზრით ყველაზე მძიმე სენი, რომელმაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი ახალგაზრდობაში და რეალურ საფრთხეს უქმნის ჩვენს მომავალს. ეს არის ნარკომანია, რომელიც გარდა იმისა, რომ პირდაპირ ზნეობრივ და ფიზიკურ ზარალს აყენებს საზოგადოებას, რესპუბლიკაში დანაშაულის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიცაა. ამიტომ, ჩვენი საზოგადოების ყველა წევრმა — მშობელმა, მასწავლებელმა, მუშამ თუ მეცნიერმა ხმა უნდა აღიმაღლოს ამ დანაშაულზე, რამეთუ ჩვენი ახალგაზრდობის ამ სენით შეპყრობილი ნაწილი გადაგვარების გზაზე დგას და ჩვენს მომავალს დაღუპვის საშიშროების წინაშე აყენებს. ჩემი საკუთარი ოპერატიული მუშაობის გამოცდილებითა და არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა უდიდესი ნაწილი ჩვენი თანამემამულეები არიან, ხოლო მათი „მომმარაგებლები" სხვა ერონვნებისა და რეგიონების მცხოვრებნი. ინფორმაციის სრულიად სარწმუნო წყაროებიდან ისიც შევიტყვე, რომ ვეჭადნებიან კიდევაც: „იმდენი უნდა მოვახერხოთ, რომ ქართველებს გამრავლების საშუალება მოვუსპოთო".

მე კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ყველა მოქალაქეს ყურად იღონ ჯოველივე ეს, ნუ დახუჭავენ თვალს თავიანთი გვერდზე მდგომის საქციელზე, მათზე. ვინც სუსტი ნებისყოფის გამო ვერ ელევა ცდუნებას და ყველანაირად ვეცადოთ მათ გამოსწორებას. ის ვინც ხელს უწყობს ნარკომანის ჩამოყალიბებას, ერის მოღალატედ უნდა ჩაითვალოს და ამაში ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია თუ მოძრაობა უნდა ამოგვიდგეს მხარში. ზემოთ სამართალდარღვევათა საერთო რაოდენობაზე ვისაუბრე და მინდა ამით დავასრულო — ერთი ერთეულით მეტი დანაშაული იქნება თუ ნაკლები მთავარი და გადამწყვეტი ეს არ არის, მაგრამ ერთი ნარკომანით მეტი იქნება თუ ნაკლები ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. მტერს ნუ გავაცინებთ!

მოამზადა

**პაატა ჩხაიძემ,**
საქართველოს რესპუბლიკის შსს პრესცენტრის უფროსმა ინსპექტორმა, შინაგანი სამსახურის კაპიტანმა.

# სპორტი

## ქართულ მკლავჭიდ მლი აღიარება

**მსოფლიო** ჩემპიონატე მკლავჭიდში სამი ათეული წლ ისტორია აქვს. საქართველოში სპორტის ეს სახეობა 2 წელია მოვიდა და უკვე პოპულარობ სარგებლობს ახალგაზრდებს რის. შარშან ოქტომბერში ამერ კის შეერთებული შტატების ქა აქ პეტალუმაში ჩვენმა ეროვნ ლმა გუნდმა საუცხოოდ იასპარ ზა.

აბსოლუტურ პირველობაში სტაფონელმა მძიმეწონოსანმა ურ ცხადაძემ მსოფლიო ჩემპიო ატში საქართველოს სახელ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა მდგარ მკლავჭიდში).

ახლახანს, საქართველოს მკლ ჭიდის ფედერაციამ თავმჯდო რის სახელზე ამერიკის შეერ ული შტატებიდან მოვიდა მკლ ჭიდის საერთაშორისო ფედერ ის აღმასრულებელი დირექტ ბატონ დევიდ დოტონის წერი რომელიც ქართულ მკლავჭიდ ებს გასულ მსოფლიო ჩემპიონ ზე წარმატებით გამოსვლას ოცავს. იგი გამოთქვამს სურვილ რომ 1991 წელს მკლავჭიდე ასპარეზობა გაიმართოს ან ქართველოში, ან ამერიკის შეე თებულ შტატებში.

ამ წერილის საპასუხოდ საქ თველოს მკლავჭიდის ფედერა ამ ამერიკელები თბილისში მ წვია ტურნირზე.



საქართველოს მკლავჭიდის დერაციის თავმჯდომარემ, ბა ნმა ვახტანგ მუსელიანმა გვაცნ ბა:

— 1991 წლის 27-28 აპრ თბილისში, სპორტის სასახლ პირველად საქართველოში ჩა რდება საერთაშორისო ტურნ მკლავჭიდში („საქართველოს პირველობა"). ჩამოსვლის ს ვილი უკვე გამოთქვეს მსოფ ჩემპიონებმა — აშშ-ს მკლ დელებმა. მოწვეულნი არიან პანეთის, გერმანიის, შვეციის, გლისის, იტალიის, ფინეთის რუსეთის გუნდები, საქართვე ნაკრების გარდა, იასპარეზებს ერეთის, სვანეთის, კახეთის, მეგრელის, მთათუშეთის, აფხ თის, რაჭის, აჭარის და საქა ველოს სხვა კუთხეების გუნდ

ამ ტურნირის ორგანიზება ს რთველოს მკლავჭიდის ფედ ციას ეკისრება.

შეჯიბრება გადაიცემა ტელ ზიით როგორც ჩვენში, ასევე ხოეთში. ამასთან, საქართვე მკლავჭიდის ფედერაცია ჩ სპორტის დამოუკიდებლობის პოვების მიზნით, მიმართავს განიზაციებს და ცალკეულ ოვნებებს, გაუწიონ ფინანს დახმარება ამ წამოწყებას.

საქართველოს მკლავჭიდის დერაციის ანგარიში ნომ 000161700 (700031) „ივერო კი", მრეწველმშენის საოპერა სამმართველო.

გაბრიელ ბარჯ

**სურათზე:** ქართული მკ ჭიდის აღიარების ოფიციალ დოკუმენტი.

# წერილები რედაქციას

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განცხადება

**მიმდინარე** წლის 27 თებერვალს ეროვნულ კონგრესში გაერთიანებული პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის შენობის წინ ჩატარდა მიტინგი მოთხოვნით — „განთავისუფლდეს ჯ. იოსელიანი და ზ. ვეფხვაძე".

ამასთან დაკავშირებით უშიშროების დეპარტამენტი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ აღნიშნული პირები დაკავებულ იქნენ და მათ მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, სისხლის სამართლის კოდექსის 238 მუხლის I ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარება).

ჯ. იოსელიანის და ზ. ვეფხვაძის მიმართ, რესპუბლიკის პროკურატურის სანქციით, აღკვეთის ღონისძიებად არჩეულია პატიმრობა და ისინი დროებით იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო იზოლატორში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჯ. იოსელიანის და ზ. ვეფხვაძის განთავისუფლება არ შედის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის კომპეტენციაში.

**საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის საზოგადოებრიობასთან კავშირურთიერთობის ჯგუფი.**

## საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის განცხადება

**მიმდინარე** წლის 23 თებერვალს საქართველოს ტელევიზიით, პროგრამა „მოამბეში" საქართველოს დეპუტატმა ბატონმა ნუგზარ მოლოდინაშვილმა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი თორნიკე ფიფია დაადანაშაულა მერაბ კოსტავას სახ. ფონდიდან გარკვეული რაოდენობის თანხის მითვისებაში.

1989-1990 წლებში, ეთნიკური წინააღმდეგობების დასარეგულირებლად მუშაობდა ეროვნული თავდაცვის საბჭო შემდეგი შემადგენლობით: ზვიად გამსახურდია, ავთანდილ რცხილაძე, ვაჟა ადამია, ირაკლი წერეთელი, თორნიკე ფიფია, თემურ სუმბათაშვილი, თემურ ქორქოლიანი, დავით კოპალეიშვილი.

საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე (რომელიც ბატონი ზვიად ბოკუჩავას ბინაზე ჩატარდა) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თორნიკე ფიფიასათვის ვაჟა ადამიასაგან გადაცემული თანხით აღჭურვილობის შეძენის შესახებ, რაც დაევალა მონარქისტული პარტიის წარმომადგენელს.

აღნიშნული სხდომიდან ერთი კვირის თავზე, საბჭოს მორიგ შეკრებაზე, რომელსაც ვ. ადამიას გარდა დაესწრო საბჭოს ყველა წევრი, მონარქისტული პარტიის წარმომადგენელმა გააკეთა ინფორმაცია თორნიკე ფიფიას მიერ გადაცემული თანხით შესაბამისი აღჭურვილობის შეძენის შესახებ.

აღჭურვილობა ამჟამადაც იმყოფება საქართველოსათვის მძიმე ეთნოკონფლიქტურ რეგიონში და მისი ადგილსამყოფელი ნებისმიერ დროს შეგვიძლია წარვუდგინოთ ნეიტრალურ კომისიას.

ამრიგად, ბატონ თორნიკე ფიფიას ბატონ ნუგზარ მოლოდინაშვილის მიერ ნახსენებ თანხასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს.

**საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია**

**27 თებერვალი 1990 წელი.**

**რედაქციისაგან:** დავუკავშირდით ბატონ ნუგზარ მოლოდინაშვილს და ბატონ ვაჟა ადამიას. ბატონმა ვაჟამ ვითარება სავსებით სხვაგვარად აღწერა. თუ საჭიროდ ჩათვლის, თვითონ უპასუხებს ჩვენი გაზეთის მეშვეობით.

საერთოდ კი, ამგვარი განცხადებების ბეჭდვა გაზეთის საქმე არ არის. რედაქცია სასამართლო არ გახლავთ. ეს საკითხები სხვაგან უნდა ირჩეოდეს.

# განცხადება

## მუხიანის ბაზრობის პრობლემები

**ამა** წლის 28 თებერვალს გაიმართა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბლოკის „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინების" გამგეობის სხდომა, რომელზეც განიხილეს სხვადასხვა საკითხი და მათ შორის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება მუხიანის სასაქონლო ბაზრის 4 მარტიდან დახურვის შესახებ.

აღინიშნა, რომ საქონლით მოსახლეობის ნაწილობრივი მომარაგების წყარო და კომერციული მაღაზიების ერთადერთი კონკურენტი (დღესდღეობით ასეთი ბაზრობებია და კერძოდ კი მუხიანის ბაზარი, სადაც ფასები რამდენჯერმე ნაკლებია, ვიდრე კომერციულ მაღაზიებში.

ბაზარი მოუწყობელია, ქმნის იქ მცხოვრები მოსახლეობისათვის არასახურველ მდგომარეობას და მიზანშეწონილია ბაზრის გადატანა და არა დახურვა. სამწუხაროდ, ქალაქის ხელმძღვანელობას ამ მხრივ ნაბიჯი არ გადაუდგამს.

გამგეობამ გადაწყვიტა, ქალაქის საბჭოში შეიტანოს წინადადება ბაზრის გადატანისათვის შესაბამისი ტერიტორიის გამოსაყოფად, ასევე შესაძლებლად მიიჩნია ტერიტორიის კეთილმოწყობისა და ბაზრობის ორგანიზაციის საკითხების მოგვარებისათვის გახწიოს ფინანსური დახმარების ორგანიზატორის ფუნქცია.

**ბლოკი „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინების" პრესცენტრი**


# საქართველოს რესპუბლიკა

**ერთადერთი გაზეთია საქართველოში, რომელიც თითქმის ყოველდღიურად მშობლიურ ენაზე მიაწვდის მკითხველს ახალ-ახალ ინფორმაციებს რესპუბლიკისა და საზღვარგარეთის ცხოვრებაზე.**
**„საქართველოს რესპუბლიკა" ჩვენი ხალხის სიყვარულითა და ნათელი მომავლის რწმენით არის დამუხტული.**
**მისი გამოწერა შეგიძლიათ ყოველი თვის 15 რიცხვამდე.**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-73-24.

იბეჭდება საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.

ინდექსი 66484